sosfsokhumi.ge

ქალთა მიმართ ძალადობის რისკების ინდიკატორები:

უსაფრთხოების მდგომარეობა, ოჯახში ძალადობა და მხარდაჭერის სერვისებზე ხელმისაწვდომობა

როგორ შეაფასებდით თქვენი პირადი უსაფრთხოების დონეს?



დეკემბერი
2025

ქალთა მიმართ ძალადობის რისკების ინდიკატორები: უსაფრთხოების მდგომარეობა, ოჯახში ძალადობა და მხარდაჭერის სერვისებზე ხელმისაწვდომობა

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქველმოქმედო ჰუმანიტარული ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის ანგარიშს, რომელიც ეფუძნება 540 ქალი რესპონდენტისგან მიღებული მონაცემების ანალიზს.

კვლევა ჩატარდა დასავლეთ საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში (წყალტუბო, ქუთაისი, ხონი, თერჯოლა, ვანი, ჩოხატაური, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ხობი).

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია, ქალების უსაფრთხოების მდგომარეობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და მასთან დაკავშირებული რისკების გამოვლენა. ძალადობის გავრცელებული ფორმებისა და გამომწვევი ფაქტორების ანალიზი; ასევე მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმირებულობის, ხელმისაწვდომობის, ნდობის და ეფექტიანობის ხარისხის შეფასება.

მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პრევენციისა და რეაგირების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის და თემზე დაფუძნებული ინიციატივების განვითარების მხარდასაჭერად.

კვლევის მეთოდები: კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი მეთოდით, თვითადმინისტრირებადი სტრუქტურირებული კითხვარით, ონლაინ გამოკითხვის გზით.

კვლევის სამიზნე მუნიციპალიტეტები: კვლევა განხორციელდა დასავლეთ საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში.[1]

სამიზნე ჯგუფები: კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ სხვადასხვა ასაკის, ოჯახური მდგომარეობისა და სოციალური სტატუსის მქონე ქალები. ანალიზი ჩატარდა ასაკობრივი ჯგუფების (18-30; 31-45; 46-65; 65+), ოჯახური მდგომარეობის (დაოჯახებული, დაუოჯახებელი, განქორწინებული, მარტოხელა დედა, ქვრივი) და სოციალური სტატუსის (დევნილი/იძულებით გადაადგილებული, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელში მცხოვრები, სოციალურად დაუცველი, შშმ პირზე ან ხანდაზმულზე ზრუნვაზე პასუხისმგებელი) მიხედვით.

1 წყალტუბო, ქუთაისი, ხონი, თერჯოლა, ვანი, ჩოხატაური, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ხობი.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე სტატუსის მონიშვნა, რაც ანალიზში ინტერსექციული მოწყვლადობის გათვალისწინების საშუალებას იძლევა.

კვლევაში ჩართულ პირთა რაოდენობა: სულ გამოიკითხა 540 ქალი.

გამოკითხვა ჩატარდა: 2025 წლის ნოემბერ-დეკემბერში.

I კვლევის დემოგრაფიული პროფილი

რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით: ქუთაისი - 79; ხობი - 50; სენაკი - 68; თერჯოლა - 45; წყალტუბო - 60; ჩოხატაური - 44; ხონი - 57; ვანი - 42; ზუგდიდი - 55; წალენჯიხა - 40.

ასაკობრივი ჯგუფები: 18-30 – 22%; 31-45 – 35.6%; 46-65 – 28.3%; 65+ რესპონდენტები - 14.1%.

ვანში ჩართული იყო ყველაზე მეტი ახალგაზრდა რესპონდენტი (18-30 წლის - 38%). ჩოხატაურში - ყველაზე უფრო მაღალი ასაკის (გამოკითხულთა 32% წარმოადგენს 65+ჯგუფს). ქუთაისში და წყალტუბოში დომინირებდა 31- 45 წწ. ასაკობრივი ჯგუფი.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების 67.4% ცხოვრობს ქალაქში; 32.6% - სოფელში. ზუგდიდისა და წალენჯიხის რესპონდენტებში სოფლის მცხოვრებლების დომინაციაა (65-69%). ქუთაისსა და სენაკში - ურბანული (91-98%).

რესპონდენტების ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული - 58.9%; დასაოჯახებელი - 19.6%; განქორწინებული - 7.8%; ქვრივი - 7%; მარტოხელა დედა - 6.7%.

სოციალური სტატუსი: დევნილი/იძულებით გადაადგილებული პირი - 34,3%; გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელში მცხოვრები - 5%; სოციალურად დაუცველი - 17,4%; შშმ პირზე ან ხანდაზმულზე ზრუნვაზე პასუხისმგებელი - 5.2%; ადგილობრივი - 50.2%; არცერთი ზემოთაღნიშნული - 5%.

II რაოდენობრივი კვლევის მიგნებები

2.1. უსაფრთხოება და საფრთხეები

ქალთა მხრიდან უსაფრთხოების აღქმის საკითხის გამოვლენისას გამოჩნდა, თუ რამდენად დაცულად გრძნობენ თავს ქალები საკუთარ გარემოში და რა სოციალური, ეკონომიკური ან პიროვნული ფაქტორები ზრდის მათში დაუცველობის განცდასა და ძალადობის რისკს.

საერთო მონაცემებით, სრულიად უსაფრთხოდ გრძნობს თავს გამოკითხული რესპონდენტების 24.6%; ნაწილობრივ უსაფრთხოდ - 55.9%; დაუცველად - 13.5%; სრულიად დაუცველად – 5.9%.

ყველაზე მეტი დაცულობის განცდა გამოიკვეთა წყალტუბოს რესპონდენტებში. მათი 36.7% უსაფრთხოდ და 53.3% ნაწილობრივ უსაფრთხოდ გრძნობს თავს.

სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით უკეთესი მაჩვენებლებია ქუთაისში, ხობში, ზუგდიდსა და სენაკში. ქუთაისში უსაფრთხოდ გრძნობს თავს რესპონდენტების 32%, ნაწილობრივ უსაფრთხოდ - 60%. ხობში უსაფრთხოდ - 32% და ნაწილობრივ უსაფრთხოდ - 38%; ზუგდიდში უსაფრთხოდ - 29.1%; ნაწილობრივ უსაფრთხოდ - 50.9%; სენაკში უსაფრთხოდ გრძნობს თავს - 25.0%; ნაწილობრივ უსაფრთხოდ - 61.8%. აღსანიშნავია, რომ სენაკი ერთადერთი სამიზნე მუნიციპალიტეტია, სადაც არავის მოუნიშნავს პასუხი - „სრულიად დაუცველად“ (0%).

დაცულობის განცდა ყველაზე ნაკლებად გამოვლინდა ჩოხატაურში მცხოვრებ რესპონდენტებში. უსაფრთხოდ გრძნობს თავს მათი მხოლოდ 4.5%. სრულიად დაუცველად - 18.2%. ჩოხატაურისა და ვანის მოსახლეობის 40-50% თავს დაუცველად გრძნობს.

უსაფრთხოების რისკების თვალსაზრისით, საერთო პასუხების პირველ სამეულში (მონაცემები გამოხატავს შემთხვევათა რაოდენობას) დასახელებული იყო: უმუშევრობა (42.0%), სამუშაოს დაკარგვის რეალური საფრთხე (30.7%), სიღარიბე (29.3%).

მონაცემების მუნიციპალიტეტების მიხედვით ჩაშლა აჩვენებს, რომ ქალთა უსაფრთხოებისთვის აღქმული ძირითადი საფრთხეები განსხვავდება.

ცხრილი #1. ძირითადი საფრთხეები მუნიციპალიტეტების მიხედვით

მუნიციპალიტეტი	#1 საფრთხე	#2 საფრთხე	#3 საფრთხე
ქუთაისი	უმუშევრობა (49%)	კრიმინალი (33%)	სიღარიბე (22%)
სენაკი	**უმუშევრობა (72%)**	სამუშაოს დაკარგვა (68%)	სიღარიბე (62%)
წყალტუბო	უმუშევრობა (42%)	კრიმინალი (38%)	მიგრაცია (38%)
ხონი	უმუშევრობა (47%)	კრიმინალი (42%)	ნარკომანია (28%)
ზუგდიდი	უმუშევრობა (38%)	სიღარიბე (33%)	მიგრაცია (24%)
ხობი	უმუშევრობა (38%)	სამუშაოს დაკარგვა (34%)	სიღარიბე (34%)
თერჯოლა	სამუშაოს დაკარგვა (40%)	მიგრაცია (36%)	კრიმინალი (27%)
ჩოხატაური	**მიგრაცია (50%)**	სამუშაოს დაკარგვა (36%)	უმუშევრობა (30%)
ვანი	მიგრაცია (33%)	ალკოჰოლიზმი (29%)	სამუშაოს დაკარგვა (29%)
წალენჯიხა	სამუშაოს დაკარგვა (38%)	უმუშევრობა (35%)	კრიმინალი (33%)

უმუშევრობა, როგორც მთავარი საფრთხე ქალებისთვის, ყველაზე მეტად გამოიკვეთა სენაკში (72%). შესაბამისად, სხვაზე უფრო მაღალია და საფრთხედ აღიქმება სამუშაოს დაკარგვაც - 68% და სიღარიბეც - 62%. გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ რესპონდენტების უმეტესობა სენაკში დევნილთა თემს წარმოადგენს და, შესაბამისად, საფრთხის მოჭარბებული აღქმა კორელაციაშია რესპონდენტების დევნილთა სტატუსთან.

მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ იმერეთის მუნიციპალიტეტებში სხვაზე უფრო მეტად გამოიკვეთა კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესება, როგორც პირველი რიგის საფრთხე: ხონი - 42%; ქუთაისი - 33%; წყალტუბო - 38%; თერჯოლა - 27% (სამეგრელოს რეგიონში: წალენჯიხა - 33%).

გამოიკვეთა ტენდენცია: მიგრაცია, როგორც ერთ-ერთი ძირითადი საფრთხე, უფრო მეტად სოფლის მაცხოვრებელი რესპონდენტებით წარმოდგენილ მუნიციპალიტეტებში გამოვლინდა: ჩოხატაური (50%), თერჯოლა (36%), ვანი (33%), წყალტუბო (38).[2]

მონაცემთა ჩაშლა სოციალური სტატუსის მიხედვით გვაძლევს წარმოდგენას იმ საფრთხეების შესახებ, რომელთა მიმართ რესპონდენტები უფრო მოწყვლადები არიან.

ცხრილი #2. საფრთხეები სოციალური სტატუსის მიხედვით[3]

სტატუსი	n	#1 საფრთხე	#2 საფრთხე	#3 საფრთხე	#4 საფრთხე
დევნილი	185	უმუშევრობა (58%)	სიღარიბე (42%)	სამუშაოს დაკარგვა (40%)	კრიმინალი (21%)
გამყოფი ხაზი	27	უმუშევრობა (33%)	მიგრაცია (33%)	სამუშაოს დაკარგვა (30%)	სიღარიბე (26%)
სოც. დაუცველი	94	უმუშევრობა (54%)	სიღარიბე (45%)	სამუშაოს დაკარგვა (35%)	მიგრაცია (28%)
შშმ/ზრუნვა	28	სიღარიბე (36%)	სამუშაოს დაკარგვა (36%)	უმუშევრობა (29%)	კრიმინალი (25%)
ადგილობრივი	271	მიგრაცია (34%)	კრიმინალი (32%)	უმუშევრობა (31%)	სამუშაოს დაკარგვა (27%)

დევნილებისა და სოციალურად დაუცველებისთვის მთავარი საფრთხეა უმუშევრობა (54-58%) და სიღარიბე (42-45%). ადგილობრივებისთვის პრიორიტეტები განსხვავებულია - მიგრაცია (34%) და კრიმინოგენული გარემო (32%). შშმ პირებზე მზრუნველებისთვის სიღარიბე და სამუშაოს დაკარგვა თანაბრად მწვავეა (36%).

2 აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში გაიზარდა სოფლის მაცხოვრებლების მიგრაცია. მიზეზებად სახელდება: მიწის გამოფიტვა, ახალი ტექნოლოგიების ნაკლები ხელმისაწვდომობა, ფერმერების რეალური მხარდაჭერის დეფიციტი

3 რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე სტატუსის მონიშვნა (multi-select), ამიტომ ჯგუფები იკვეთება.

კვლევის შედეგებით, რესპონდენტებისთვის მათი პირადი უსაფრთხოების რისკების ინდიკატორებში წარმოდგენილი „ოჯახის წევრის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა“ საკმაოდ საგანგაშო ნიშნულზეა. საერთო მონაცემებით, ეს 9.6%-ია. მაგრამ ცალკეულ მუნიციპალიტეტებში უფრო მეტად წარმოადგენს რისკს: ვანი - 14.3%; ხობი - 14%; ჩოხატაური - 13.6%. ეს მიუთითებს ზოგადად ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის კუთხით არსებულ არასახარბიელო მდგომარეობაზე და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

2.2. ოჯახში ძალადობის გამოცდილება

საერთო მონაცემებით, რესპონდენტების 32% მიუთითებს ახლობლის ძალადობის გამოცდილებაზე, ხოლო 9.4% - პირად გამოცდილებაზე. რესპონდენტების 53% აცხადებს, რომ ოჯახში ძალადობის გამოცდილება არ ჰქონია, ხოლო 5.4%-მა კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა. აღნიშნული განაწილება შეიძლება ასახავდეს ოჯახში ძალადობის თემის სენსიტიურობასა და მასთან დაკავშირებულ სოციალურ სტიგმას, რაც ხშირად ზღუდავს პირადი გამოცდილების იდენტიფიცირებასა და ღიად აღიარებას.

სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ოჯახში ძალადობის გამოცდილების კუთხით სურათი განსხვავებულია.

ცხრილი #3. ოჯახში ძალადობის გამოცდილება

მუნიციპალიტეტი	პირადი	ახლობელი	არა	ჯამი (ძალადობა)
ვანი	4.8%	**64.3%**	23.8%	**69.1%**
თერჯოლა	17.8%	46.7%	31.1%	64.5%
ჩოხატაური	9.1%	52.3%	25.0%	61.4%
ხობი	16.0%	44.0%	34.0%	60.0%
წალენჯიხა	12.5%	42.5%	40.0%	55.0%
ზუგდიდი	5.5%	30.9%	63.6%	36.4%
ხონი	14.0%	21.1%	61.4%	35.1%
წყალტუბო	8.3%	16.7%	71.7%	25.0%
სენაკი	4.4%	19.1%	72.1%	23.5%
ქუთაისი	6.3%	13.9%	**72.2%**	**20.3%**

ვანში რესპონდენტის 64.3%-ის ცნობით, მათ ახლობელს აქვს ძალადობის გამოცდილება – ეს 4.6-ჯერ მეტია, ვიდრე ქუთაისში (14%). თერჯოლის (17.8%) რესპონდენტები მიუთითებენ, რომ აქვთ ძალადობის პირადი გამოცდილება. ეს შეიძლება მიუთითებდეს როგორც ძალადობის უფრო მაღალ მაჩვენებელზე, ასევე რესპონდენტების უფრო მაღალ გახსნილობაზეც.

ყველაზე ხშირი ძალადობის ფორმები - სამიზნე მუნიციპალიტეტებში რესპონდენტებმა დააფიქსირეს, ძალადობის რომელი ფორმაა უფრო გავრცელებული მათ გარშემო (შესაძლებელი იყო პასუხის 2 ვარიანტის არჩევა. შესაბამისად, მიღებული პასუხები გამოხატავს შემთხვევათა რაოდენობას).
საერთო მონაცემებით, ძალადობის უფრო გავრცელებულ ფორმებში დასახელდა ფსიქოლოგიური ძალადობა - 70%; ეკონომიკური ძალადობა – 45.2%; ფიზიკური ძალადობა – 40.2%; სექსუალური ძალადობა - 8%.

ცხრილი #4. ძალადობის ფორმები მუნიციპალიტეტების მიხედვით[4]

მუნიციპალიტეტი	ფსიქოლოგიური	ფიზიკური	ეკონომიკური	სექსუალური
სენაკი	**82.4%**	63.2%	23.5%	2.9%
თერჯოლა	77.8%	22.2%	62.2%	2.2%
ჩოხატაური	77.3%	13.6%	**70.5%**	15.9%
წყალტუბო	71.7%	33.3%	45.0%	8.3%
ქუთაისი	68.4%	39.2%	36.7%	7.6%
ვანი	66.7%	26.2%	52.4%	**19.0%**
ზუგდიდი	65.5%	41.8%	36.4%	3.6%
ხობი	64.0%	38.0%	64.0%	14.0%
ხონი	57.9%	**68.4%**	42.1%	7.0%
წალენჯიხა	67.5%	37.5%	37.5%	2.5%

გამოიკვეთა ტენდენციები: **ხონში** რესპონდენტების 68%-ის მიერ დასახელდა ფიზიკური ძალადობა, როგორც ყველაზე გავრცელებული ფორმა. ეს ორჯერ მაღალია კვლევის საშუალო მაჩვენებელზე (40.2%).

ჩოხატაურში ეკონომიკური ძალადობის ფორმა რესპონდენტების პასუხების 71%-ში დომინირებს. **ვანში** დასახელდა სექსუალური ძალადობის საგანგაშო მაჩვენებელი - 19%. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია სამიზნე მუნიციპალიტეტებში (საშუალო მაჩვენებელი - 8%). ასევე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა ჩოხატაურში (15%), ხობში (14%).

4 ცხრილში მოცემულია შემთხვევების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით

2.3. ციფრული (ტექნოლოგიური) ძალადობის გააზრებისა და გამოცდილების ანალიზი

გამოკითხული რესპონდენტების 38.3% აცხადებს, რომ კარგად იცის, რას ნიშნავს ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი (ციფრული) ძალადობა; 52.6%-ს სმენია ამის შესახებ, თუმცა ზუსტად არ იცის, რას გულისხმობს; ხოლო 9.1% აღნიშნავს, რომ ამის შესახებ პირველად გაიგო.

ცხრილი #5. ტექნოლოგიური ძალადობის შესახებ ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტების მიხედვით

მუნიციპალიტეტი	კარგად ვიცი	მსმენია	პირველად მესმის
სენაკი	**67.6%**	29.4%	2.9%
ზუგდიდი	47.3%	47.3%	5.5%
ხონი	42.1%	50.9%	7.0%
ქუთაისი	36.7%	50.6%	12.7%
ვანი	33.3%	57.1%	9.5%
ჩოხატაური	27.3%	52.3%	**20.5%**
ხობი	34%	58.0%	**8%**
წალენჯიხა	27,5%	65.0%	**7.3%**
თერჯოლა	28.9%	66.7%	**4.4%**
წყალტუბო	25%	61.7%	**13.3%**

მონაცემების მიხედვით, სენაკში ყველაზე მაღალი ცნობიერებაა (რესპონდენტების 68%-მა „კარგად იცის, რას ნიშნავს“ ციფრული ძალადობა). ჩოხატაურში 21%-მა „პირველად გაიგო“. ეს ყველაზე დაბალი ინფორმირებულობაა და შეიძლება გამოწვეული იყოს ჯგუფში შედარებით მაღალი ასაკის რესპონდენტების დომინირებით.

ტექნოლოგიური (ციფრული) ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმების კვლევისას, რესპონდენტებმა დაასახელეს: პირად სივრცეში ჩარევა (პაროლების მოთხოვნა, შეტყობინებების შემოწმება, ანგარიშებზე წვდომა - 53.7%; ციფრული თვალთვალი (ლოკაციის ან ონლაინ აქტივობის მუდმივი კონტროლი) - 37.0%; ინტიმური მასალის (ფოტოები, ვიდეო) გავრცელებით შანტაჟი - 23.7% *(მოცემულია შემთხვევების რაოდენობა).*

ციფრული ძალადობის გამოცდილებაზე საუბრისას რესპონდენტებმა კონკრეტულად უპასუხეს კითხვას, „ბოლო წლებში თქვენ ან თქვენი გარემოცვიდან ვინმეს ხომ არ ჰქონია ციფრული ძალადობის გამოცდილება“. საერთო მონაცემებით, პირადი გამოცდილება ჰქონდა 11.1%-ს; ახლობელს ან ოჯახის წევრს - 28.1%; არ ჰქონია გამოცდილება - 56.1%; „არ მსურს პასუხის გაცემა“ - 4.6%.

ცხრილი #6. ციფრული ძალადობის გამოცდილება მუნიციპალიტეტების მიხედვით

მუნიციპალიტეტი	პირადი	ახლობელი	არა	ჯამი
თერჯოლა	11.1%	**53.3%**	35.6%	**64.4%**
ვანი	14.3%	45.2%	31.0%	59.5%
ჩოხატაური	13.6%	45.5%	29.5%	59.1%
ხობი	**24.0%**	32.0%	38.0%	56.0%
წალენჯიხა	17.5%	35.0%	47.5%	52.5%
ზუგდიდი	10.9%	27.3%	58.2%	38.2%
ხონი	12.3%	21.1%	63.2%	33.4%
წყალტუბო	3.3%	23.3%	71.7%	26.6%
სენაკი	10.3%	13.2%	70.6%	23.5%
ქუთაისი	2.5%	11.4%	**81.0%**	13.9%

ციფრული ძალადობის კუთხით ყველაზე მეტი გამოცდილება დააფიქსირეს ხობის რესპონდენტებმა (24.0%), რაც საერთო მონაცემებს (11.1%) ორჯერ აღემატება. ყველაზე ნაკლები ციფრული ძალადობის გამოცდილება (პასუხი „არა“) დაფიქსირდა ქუთაისის რესპონდენტებში 81.0%-ში, სენაკში (70,6%), წყალტუბოში (70,7%).

ასაკის მიხედვით მონაცემთა ჩაშლისას ციფრული ძალადობის გამოცდილება გამოიკვეთა ახალგაზრდებში (18-30) და ეს მაჩვენებელი 44.5%-ია, ხოლო საშუალო ასაკში (31-65) - 31-35%.

პირადი გამოცდილება ყველა ჯგუფში 8-14%-ის ფარგლებშია. ციფრული ძალადობის მიმართ საგანგაშო მოწყვლადობა გამოიკვეთა 65+ ასაკობრივ ჯგუფში (56.6%), რაც შესაძლოა აიხსნას იმით, რომ ხანდაზმულები უფრო ხშირად ხდებიან ონლაინ თაღლითობის მსხვერპლნი.

III. მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმირებულობა, ხელმისაწვდომობა და ეფექტიანობა

კვლევის ფარგლებში შეფასდა რესპონდენტების ინფორმირებულობა ქალთა მიმართ ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული დახმარების სერვისების შესახებ. საერთო მონაცემებით, რესპონდენტების 47.0%-მა კარგად იცის, ვის უნდა მიმართოს. სმენია, მაგრამ ზუსტად არ იცის, ვის უნდა მიმართოს 42.0%-მა. არ იცის 10.9%-მა.

შედარებისთვის, ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ 2024 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, რესპონდენტების მხოლოდ 17.9% აცხადებდა, რომ სრულად იცოდა, ვის უნდა მიმართოს დახმარებისთვის, ხოლო 52.3% ფლობდა ინფორმაციას მხარდაჭერის

რამდენიმე სერვისზე.[5] შესაბამისად, იმ რესპონდენტების წილი, ვინც ზუსტად იცის დახმარების მიღების გზები, გაიზარდა **29.1%-ით** (17.9%-დან 47.0%-მდე). თუმცა, მიუხედავად ამ ზრდისა, კვლავ მაღალია იმ ქალების წილი, რომლებიც სერვისების არსებობის შესახებ მხოლოდ ზოგად ინფორმაციას ფლობენ და არ იციან, კონკრეტულად ვის უნდა მიმართონ (42.0%), რაც მიუთითებს, რომ ინფორმირებულობა მნიშვნელოვან ნაწილში კვლავ ზედაპირულია და საჭიროებს დამატებით საინფორმაციო-საგანმანათლებლო მუშაობას.

სენაკში რესპონდენტების 72%-მა კარგად იცის სერვისების შესახებ. რესპონდენტების ჯგუფის მოწყვლადობის გათვალისწინებით, შეიძლება დაშვება, რომ ეს არის კვალიფიციური სსო-ების მიერ დევნილთა თემის ინფორმირებისთვის გაწეული ძალისხმევის შედეგი.

ჩოხატაურში რესპონდენტების მხოლოდ 21%-ს აქვს (პასუხი „კარგად ვიცი“) ინფორმაცია სერვისებზე. **ყველაზე მეტი რესპონდენტი,** რომელმაც განაცხადა, რომ **არ იცის** სერვისების თაობაზე, გამოიკვეთა **ქუთაისში** (39.2)%[6]. პასუხი „კარგად ვიცი“ აირჩია რესპონდენტების 40.5%-მა.

ცხრილი #7. სერვისების შესახებ ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტების მიხედვით

მუნიციპალიტეტი	კარგად ვიცი	მსმენია	არ ვიცი
სენაკი	**72.1%**	22.1%	5.9%
ზუგდიდი	63.6%	30.9%	5.5%
წალენჯიხა	52.5%	37.5%	10.0%
ხონი	47.4%	42.1%	10.5%
ხობი	46.0%	42.0%	12.0%
ვანი	42.9%	54.8%	2.4%
წყალტუბო	41.7%	40.0%	18.3%
ქუთაისი	39.2%	40.5%	**20.3%**
თერჯოლა	35.6%	57.8%	6.7%
ჩოხატაური	20.5%	68.2%	11.4%

გამოიკვეთა **სერვისებზე ინფორმაციის მიღების პირველადი წყაროები:** სოციალური ქსელები - 69.1%; არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრები ან ტრენინგები - 47.4%; ტელევიზია ან რადიო - 29.1%; მეგობრები და ნაცნობები - 23.0%; ადგილობრივი

5 ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ 2024 წელს ჩატარებული კვლევა. წყარო - https://sosfsokhumi.ge/mapfs2024ii

6 მხედველობაშია მისაღები, რომ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები, მათ შორის ქალთა ფონდი „სოხუმი“, ძირითადად, ოპერირებენ პერიფერიებში

თვითმმართველობიდან (სოფლებში მერის წარმომადგენელი, თემის სოციალური მუშაკი და ა.შ.) - 11.1%; ბეჭდური ან საინფორმაციო მასალები - 10.9%; ცენტრალური საჯარო სამსახურები (მაგ.: სოციალური სამსახური, პოლიცია) - 7.8% (*პასუხები აღებულია შემთხვევათა რაოდენობიდან).*

ოჯახში ძალადობის ან მისი **საფრთხის დროს დახმარებისთვის მიმართა** 78-მა რესპონდენტმა (14.4%). დანარჩენი პასუხები: „არა, არ მიმიმართავს“ - 160 რესპონდენტი (29.6%); „არ დამჭირვებია“ - 284 (52.6%). პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა 18-მა რესპონდენტმა (3.3%).

ცხრილი #8. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მიმართვიანობა მუნიციპალიტეტების მიხედვით

მუნიციპალიტეტი	მივმართე	არ მიმიმართავს	არ დამჭირვებია
თერჯოლა	**40.0%**	22.2%	35.6%
ვანი	28.6%	28.6%	38.1%
ხობი	28.0%	34.0%	34.0%
ჩოხატაური	20.5%	31.8%	36.4%
ზუგდიდი	12.7%	43.6%	41.8%
წალენჯიხა	12.5%	37.5%	50.0%
ხონი	8.8%	33.3%	50.9%
ქუთაისი	6.3%	15.2%	75.9%
წყალტუბო	3.3%	28.3%	68.3%
სენაკი	1.5%	29.4%	67.6%

იმ რესპონდენტებში, რომლებმაც დახმარებისთვის მიმართეს სხვადასხვა სერვისს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოიკვეთა თერჯოლაში (40%). ინფორმირებულობის მაღალი ხარისხის მიუხედავად (72%), ყველაზე დაბალი მიმართვიანობა დაფიქსირდა სენაკში.

საინტერესო თანაფარდობა გამოვლინდა ზუგდიდში. იმათი რაოდენობა, ვინც არ მიმართა (43.6%), მეტია იმათზე, ვისაც „არ დასჭირვებია“ 41.8%. ანუ იკვეთება რესპონდენტთა მინიმუმ 2%, რომელსაც ჰქონდა საჭიროება, მაგრამ არ მიუმართავს ამა თუ იმ სერვისისთვის.

ვის მიმართავენ დაზარალებულები ყველაზე ხშირად? პირველ სამეულში გამოიკვეთა არასამთავრობო (უფლებადამცველი) ორგანიზაციები (მაგ: ფსიქოლოგიური, იურიდიული კონსულტაცია, თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის მომსახურება და ა.შ.) – 44 რესპონდენტი (56.4%); პოლიცია (ზარი 112-ში) - 28 (35.9%); ახლობლები/მეგობრები - 27 (34.6%) (*მონაცემები აღებულია რესპონდენტების იმ რაოდენობიდან, ვინც მიმართა დახმარებისთვის).*

რესპონდენტები (გამოკითხულთაგან 160) განმარტავენ მიზეზს, **რატომ არ მიმართეს დახმარებისთვის:** „მიმაჩნდა, რომ პრობლემა თავად უნდა გადამეწყვიტა“ - 24.4%. „მეშინოდა მოძალადის რეაქციის - 23.1%; „არ მჯეროდა, რომ რეალურად შემეძლო დახმარების მიღება“ (18.1%) (იხ. ცხრილი #9); „მეშინოდა ოჯახის წევრების, ახლობლების ან საზოგადოების უარყოფითი რეაქციის“ (15.0%); მრცხვენოდა ამ თემაზე საუბრის დაწყება (10.0%); 14 რესპონდენტი (8.8%) აღნიშნავს, რომ არ იცოდა, ვის უნდა მიმართოს.

ცხრილი #9. „არ მჯეროდა რეალური დახმარების“ - სოციალური სტატუსის მიხედვით[7]

სტატუსი	არ მიმართა (n)	„არ მჯეროდა“	%
დევნილი	58	10	17.2%
გამყოფი ხაზი	12	1	8.3%
სოც. დაუცველი	25	5	20.0%
შშმ/ზრუნვა	11	2	18.2%
ადგილობრივი	85	16	18.8%

სერვისებისადმი უნდობლობა ყველაზე მაღალია სოციალურად დაუცველებში (20%).

კვლევის მონაწილეებისგან მიღებული პასუხებით გამოიკვეთა, რომელი სერვისის მიმწოდებლის მიერ შეთავაზებულ მომსახურებას ანიჭებენ უპირატესობას.

ცხრილი #10. სასურველი სერვისის მიმწოდებელი მუნიციპალიტეტების მიხედვით

მუნიციპალიტეტი	სახელმწიფო	არასამთავრობო	მუნიციპალური
წყალტუბო	**43.3%**	31.7%	10.0%
ქუთაისი	29.1%	53.2%	5.1%
ზუგდიდი	29.1%	47.3%	18.2%
წალენჯიხა	27.5%	60.0%	5.0%
ხონი	24.6%	52.6%	8.8%
ხობი	24.0%	58.0%	12.0%
ვანი	19.0%	61.9%	16.7%
თერჯოლა	17.8%	60.0%	13.3%
სენაკი	13.2%	58.8%	2.9%
ჩოხატაური	2.3%	**70.5%**	20.5%

7 ფილტრი: მხოლოდ ის რესპონდენტები, რომლებმაც 3.3 შეკითხვაზე უპასუხეს “არა, არ მიმიმართავს” (n=160)

წყალტუბო ერთადერთია, სადაც რესპონდენტების მიერ სახელმწიფო (ცენტრალიზებული) სერვისი უფრო პრიორიტეტულად დასახელდა, ვიდრე არასამთავრობო (43% vs 32%). ჩოხატაურში სახელმწიფო (ცენტრალიზებული) სერვისების მიმართ ყველაზე დაბალი ნდობა გამოიკვეთა (2%), სამაგიეროდ, სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, მათი 20% უპირატესობას ანიჭებს მუნიციპალურ სერვისებს.

არასამთავრობო სერვისების მიმართ ყველაზე ლოიალურია ჩოხატაური - 70.5%. ასევე მაღალი ნდობა იკვეთება მათ მიმართ ვანის (62%), თერჯოლის (60%), წალენჯიხის (60%), ხობის (58%) რესპონდენტებში.

რესპონდენტთა საერთო რიცხვიდან შემთხვევათა რაოდენობის ანალიზით გამოიკვეთა, თუ საჭიროების შემთხვევაში ვის მიმართავენ რესპონდენტები დახმარებისთვის. პოლიციას (112) - 253 რესპონდენტი (46.9%); არასამთავრობო ორგანიზაციას - 234 (43.3%); ოჯახის წევრებს ან მეგობრებს - 192 (35.6%); ცხელ ხაზს (116 006) - 162 (30.0%); ადგილობრივ თვითმმართველობას - 85 (15.7%); იურიდიული დახმარების სამსახურს - (14.4%); არავის -(2.8%).

რესპონდენტებმა აირჩიეს **სამი ყველაზე ეფექტიანი სერვისი,** რომლებიც, მათი აზრით, რეალურად ეხმარება ქალებს ოჯახში ძალადობის დროს. რესპონდენტების 45.7%-მა (247 შემთხვევა) დაასახელა არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისები; პოლიცია - 38.3% (207 შემთხვევა); ცხელი ხაზი (116 006) - 30.2% (163 შემთხვევა); ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური დახმარების პროგრამები - 145 შემთხვევა (26.9%); ფსიქოლოგის კონსულტაცია - 106 შემთხვევა (19.6%); სახელმწიფო თავშესაფარი - 83 შემთხვევა (15.4%); იურიდიული დახმარების სამსახური - 79 შემთხვევა (14.6%); სახელმწიფო კრიზისული ცენტრი 67 შემთხვევა (12.4%); დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო - 24 შემთხვევა (4.4%).

რესპონდენტებმა მონიშნეს ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც, მათი აზრით, გამოარჩევს სახელმწიფო/ცენტრალიზებული, არასამთავრობო თუ მუნიციპალური სერვისის მიმწოდებელს: რესპონდენტები სწრაფი რეაგირების კუთხით უპირატესობას ანიჭებენ სახელმწიფო სერვისებს (21.7%). კომპეტენტურობის კუთხით უფრო მეტად გამოყოფენ არასამთავრობო სერვისებს (17.2%). ანონიმურობის კუთხით ასევე არასამთავრობო სერვისებს ანიჭებენ უპირატესობას (23.9%). ხელმისაწვდომობის კუთხით (ფინანსური, გეოგრაფიული) გამოიკვეთა მუნიციპალური სერვისები (19.4%). სანდოობის თვალსაზრისით უპირატესობა მიანიჭეს არასამთავრობო სერვისს (17%). მუნიციპალიტეტის მიმართ შედარებით ნაკლები ნდობის მიზეზი, სავარაუდოდ, მიკროსოციუმია, სადაც უფრო რთულია ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

მიღებული პასუხებით, არასამთავრობო სერვისები უპირატესია ხუთიდან სამ პარამეტრში: **კომპეტენტურობა, ანონიმურობის დაცვა, სანდოობა.**

მუნიციპალიტეტების მიხედვით ჩაშლილი მონაცემებით, **სერვისების მიღების**

სისწრაფით და მობილურობით ყველაზე მეტად მუნიციპალურ სერვისებს ანიჭებენ უპირატესობას რესპონდენტები ზუგდიდში (36%). ქუთაისში არასამთავრობო სერვისებს მიიჩნევენ ყველაზე უფრო მობილურად - 36.7%. სახელმწიფო სერვისებზე საუბრისას ზუგდიდის (32.7%) და ქუთაისის (30.4%) რესპონდენტები მათ მიიჩნევენ უფრო ოპერატიულად.

კომპეტენტურობის საკითხში სახელმწიფო სერვისები შეფასდა 7%-21.4%-ის ფარგლებში. არასამთავრობო სერვისები - 11.1%-24.0%-ის ფარგლებში. მუნიციპალური - 5.1%-25.0%-ის ფარგლებში.

სახელმწიფო სერვისებს ყველაზე უფრო ხელმისაწვდომად მიიჩნევენ ჩოხატაურის რესპონდენტები (34%), ხოლო ყველაზე ნაკლებად - ქუთაისში გამოკითხულები (7.6%). არასამთავრობო სერვისების ხელმისაწვდომობა ყველაზე მეტად აღნიშნეს ჩოხატაურის რესპონდენტებმა (27%). მუნიციპალურ სერვისებს ხელმისაწვდომად მიიჩნევს ყველაზე მეტად წალენჯიხის რესპონდენტების 27.5%, ხოლო ყველაზე ნაკლებად - ქუთაისში გამოკითხულები (8.9%).

კვლევის ფარგლებში შეფასდა სერვისებზე ხელმისაწვდომობის დონე. შესაბამისი მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი #11. სერვისებზე ხელმისაწვდომობა

მუნიციპალიტეტი	მარტივად	ნაწილობრივ	რთულად	მიუწვდომელი
ზუგდიდი	**43.6%**	20.0%	25.5%	0%
ქუთაისი	31.6%	34.2%	1.3%	1.3%
ვანი	26.2%	23.8%	19.0%	16.7%
ხობი	26.0%	30.0%	16.0%	16.0%
ხონი	24.6%	54.4%	3.5%	1.8%
წყალტუბო	20.0%	30.0%	13.3%	0%
თერჯოლა	15.6%	24.4%	17.8%	24.4%
წალენჯიხა	15.0%	47.5%	27.5%	5.0%
სენაკი	7.4%	44.1%	20.6%	2.9%
ჩოხატაური	6.8%	13.6%	22.7%	**34.1%**

სერვისებზე ყველაზე მარტივი ხელმისაწვდომობა აღნიშნული იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, რაც შეიძლება აიხსნას მუნიციპალიტეტში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი სოციალური სერვისების შედარებით ფართო სპექტრით.

ჩოხატაურში 34% ამბობს, რომ სერვისები საერთოდ მიუწვდომელია; 23%-ის აზრით, რთულად ხელმისაწვდომია, რაც საერთო ჯამში 57%-ია და მიუთითებს არსებულ ბარიერებზე. რესპონდენტთა 24%-ისთვის მიუწვდომელია დახმარების სერვისები თერჯოლაშიც.

წყალტუბოში და ზუგდიდში არავის დაუფიქსირებია პასუხი „საერთოდ მიუწვდომელი“. აღსანიშნავია, რომ იმ რესპონდენტების რიცხვი, რომლებიც მიიჩნევენ სერვისს „საერთოდ ხელმიუწვდომლად“, დაბალია ხონში - 1%; ქუთაისში -1.3%; სენაკში - 2.9%.

რესპონდენტების პასუხი - „მიჭირს პასუხის გაცემა“: ქუთაისი - 25; ხობი - 6; ვანი - 6; თერჯოლა - 8; წყალტუბო - 22; ზუგდიდი - 6; სენაკი - 17; ხონი - 9; წალენჯიხა - 2; ჩოხატაური - 10, რაც შესაძლოა, ასახავდეს რესპონდენტების მიერ სერვისებთან უშუალო შეხების არარსებობას, ან მათ შესახებ არასაკმარის ინფორმაციას, რაც ართულებს ხელმისაწვდომობის შეფასებას.

სოციალური სტატუსის გათვალისწინებით, სერვისების ხელმისაწვდომობა ყველაზე დაბალია შშმ პირებზე მზრუნველებისთვის. მათი მხოლოდ 14.3% აფასებს მარტივად ხელმისაწვდომად, ხოლო 53.6% მიიჩნევს რთულად ან მიუწვდომლად. აღნიშნული შეიძლება აიხსნას როგორც შესაბამისი სერვისების შესახებ ინფორმაციის დეფიციტით, ისე შშმ პირებზე ზრუნვასთან დაკავშირებული დროითი და სოციალური შეზღუდვებით, რაც ამცირებს მათი მხრიდან სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობას.

სერვისებზე წვდომა საკმაოდ პრობლემურია ადგილობრივი რესპონდენტებისთვისაც. მათი 31% მიიჩნევს რთულად ან მიუწვდომლად.

მონაცემთა ანალიზით, დევნილებს შედარებით უკეთესი წვდომა აქვთ სერვისებზე, ვიდრე სხვა მოწყვლადი ჯგუფების რესპონდენტებს. მათი 23,8% აცხადებს, რომ მარტივად მიუწვდება ხელი სერვისებზე, ხოლო 44,4%-ს ნაწილობრივ მიუწვდება, რაც ჯამურად მიუთითებს, რომ დევნილთა უმრავლესობას (68,2%) სერვისებზე გარკვეული წვდომა აქვს.

ცხრილი#12. სერვისებზე ხელმისაწვდომობა რესპონდენტთა სოციალური სტატუსის მიხედვით (ცხრილში არ არის ასახული მონაცემი „მიჭირს პასუხის გაცემა“)

სტატუსი	n	მარტივად	ნაწილობრივ	რთულად	მიუწვდომელი
დევნილი	185	23.8%	42.2%	14.1%	1.6%
გამყოფი ხაზი	27	18.5%	44.4%	25.9%	7.4%
სოც. დაუცველი	94	26.6%	23.4%	21.3%	9.6%
შშმ/ზრუნვა	28	14.3%	25.0%	35.7%	17.9%

რესპონდენტებმა გამოხატეს საკუთარი პოზიცია, კონკრეტულად რა უნდა გაუმჯობესდეს, რათა ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისები უფრო ეფექტიანი გახდეს (შესაძლებელი იყო სამი პასუხის არჩევა, ამიტომ მონაცემები გამოხატავს შემთხვევათა რაოდენობას):

სენაკი - ინფორმირებულობის ამაღლება; სტიგმის დაძლევაზე ზრუნვა (78%); პრევენციული ღონისძიებების გაფართოება (74%); ბენეფიციარების მოტივაციის ამაღლება მხარდაჭერის სერვისებში ჩასართავად (60%).

ხონი - პრევენციული ღონისძიებების გაფართოება (54%); ინფორმირებულობის ამაღლება; სტიგმის დაძლევაზე ზრუნვა (39%), გრძელვადიანი მხარდამჭერი პროგრამების/ პროექტების რაოდენობის გაზრდა (37%).

ქუთაისი - გრძელვადიანი მხარდამჭერი პროგრამების/პროექტების რაოდენობის გაზრდა (43%); მსხვერპლი ქალების უზრუნველყოფა საცხოვრისით (34%); მსხვერპლი ქალების ეკონომიკური გაძლიერება (34%).

წალენჯიხა - ინფორმირებულობის ამაღლება; სტიგმის დაძლევაზე ზრუნვა (52%); პრევენციული ღონისძიებების გაფართოება (42%); გრძელვადიანი მხარდაჭერის პროგრამების/პროექტების რაოდენობის გაზრდა (40%).

ზუგდიდი - ინფორმირება/სტიგმის დაძლევაზე ზრუნვა (49%); პრევენციული ღონისძიებების გაფართოება (45%); მოტივაციის ამაღლება მხარდაეჭრის სერვისებში ჩასართავად (25%).

ხობი - პრევენციული ღონისძიებების გაფართოება (58%); საცხოვრისით უზრუნველყოფა (36%); ინფორმირება/სტიგმის დაძლევაზე ზრუნვა (34%).

წყალტუბო - პრევენციული ღონისძიებების გაფართოება (42%); ეკონომიკური გაძლიერება (40%); ინფორმირება/სტიგმის დაძლევაზე ზრუნვა (37%).

თერჯოლა - ინფორმირება/სტიგმის დაძლევაზე ზრუნვა (42%); პრევენციული ღონისძიებების გაფართოება (33%); ეკონომიკური გაძლიერება (29%).

ჩოხატაური - ინფორმირება/სტიგის დაძლევაზე ზრუნვა (50%); პრევენციული ღონისძიებების გაფართოება (32%); ეკონომიკური გაძლიერება (32%).

ვანი - პრევენციული ღონისძიებების გაფართოება (52%); ინფორმირება/სტიგმის დაძლევაზე ზრუნვა (48%); მოტივაციის ამაღლება მხარდაჭერის სერვისებში ჩასართა-ვად (24%).

მიღებული პასუხები ცხადყოფს, რომ ძალადობის რისკების შემცირებისთვის უმნიშვნელოვანესია ინფორმირება და სტიგმის დაძლევის მიმართულებით გატარებული ღონისძიებები, რაც მსხვერპლს მისცემს მეტ მოტივაციას, რათა ისარგებლოს ძალადობის პრევენციის და მსხვერპლის დახმარების არსებული მექანიზმებით. მნიშვნელოვან ფაქტორად იქნა მიჩნეული საცხოვრებლით უზრუნველყოფის და, განსაკუთრებით, ეკონომიკური გაძლიერების კუთხით გასატარებელი ღონისძიებები, კერძოდ გრძელვადიანი მხარდამჭერი პროგრამების/პროექტების რაოდენობის გაზრდა. ეს განაპირობებს ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერისკენ მიმართული სერვისების მეტ ეფექტიანობას.

ქალთა ფონდი „სოხუმი“

საკონტაქტო ინფორმაცია

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6
ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2

womansukhumi@gmail.com;
fundsukhumitbilisi@gmail.com

www.fsokhumi.ge
www.facebook.com/fsokhumi
www.facebook.com/WFSTbilisiOffice